ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05. 3723165001**
თარიღი:**14/06/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე

მიმდინარე წლის 14 ივნისს ოზურგეთის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს:

- წარმოდგენილი პროექტი თვისობრივად აუმჯობესებს საბიუჯეტო პროგრამას „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს (0205) განხორციელების ძირითად საფუძვლებს და მიზნობრიობის კონტროლის შესაძლებლობებს;

- გაუმჯობესებულია პროგრამის მომხმარებელი(წარმდგენი) მოქალაქეებისა ჩართულობის, პროექტების შესრულების რიგითობისა და თანმიმდევრობის მთელი რიგი პარამეტრები;

- წესის პროექტში პრინციპული სიახლეა „სამოქალაქო ბიუჯეტის“ საბჭოს შექმნის ვალდებულების განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს მართვის პროცესს;

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტი წარედგინოს საკრებულოს მისი დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი